



პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 26 მარტი, 2013 წელი

დრო: 11:00 – 12: 30 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მანანა ქოჩლაძე - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე
2. ლაშა ტულუში - საქართველოს პრესის ასოციაცია (თანაკოორდინატორი)
3. ნახი ჯანუაშვილი - ციხის საერთაშორისო რეფორმა (თანაკოორდინატორი)
4. ეკატერინე აღდგომელაშვილი - ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი
5. გიორგი გოგსაძე - ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი
6. კახა ჯამბურია - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
7. სალომე ბარათაშვილი - მდგრადი განვითარების საერთაშორისო ფონდი
8. გიგა გიგინეიშვილი - საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება
9. თამარ პაპაშვილი - ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველო
10. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - კავკასიის ქალები საუნივერსიტეტო განათლებით
11. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი
12. კახა კოჭორიძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
13. გიორგი ხუნწარიძე - ჯანმრთელი სამყარო
14. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
15. სოფო ქარჩხაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
16. დალი მაჭარაშვილი - საქართველოს ასოციაცია "ქალი და ბიზნესი"
17. კახა ნადირაძე - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
18. გიორგი თევზაძე - ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია

19. თამარ კოვზირიძე - ცოდნის ფონდი
20. შორენა ლორთქიფანიძე - კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი
21. ლევან ავალიშვილი - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
22. ნინო ჯოჯუა - ასოციაცია და რადიო "მწვანე ტალღა"
23. მათა ბიბილეიშვილი - კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის
24. მიხეილ ბენიძე - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება
25. სალომე ბულია - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
26. ნათია კუპრაშვილი - საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია
27. მამუკა ყუფარაძე - სტუდია რე

შეხვედრაზე ჯგუფის წევრებმა განხილეს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გამოწვევებისა და არსებული პრობლემების შესახებ ეროვნული პლატფორმის სახელით განცხადების გავრცელების საკითხი. პლატფორმის თავმჯდომარემ დამსწრეებს წარუდგინა საკოორდინაციო საბჭოს წევრების მიერ მომზადებული განცხადების სამუშაო ვერსია.

ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს განცხადების შინაარსსა და ფორმატზე, შეიტანეს მასში ცვლილებები და ერთხმად მხარი დაუჭირეს განცხადების პირველი სამუშაო ვერსიის სახელით გავრცელებას. დამსწრეები შეთანხმდნენ იმაზეც, რომ მხარდაჭერის შემთხვევაში შესაძლებელია განცხადება გავრცელდეს მთლიანად პლატფორმის სახელით. გადაწყდა, რომ მიღებული განცხადების მედიისთვის გასაცნობად უახლოეს დღეებში ჩატარდება პრესკონფერენცია.

ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ განცხადების ქვემოთ მოცემულ ვერსიაზე:

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს ევროკავშირში

ინტეგრაციის გამოწვევები და კოაბიტაცია

საქართველოს აღმოსავლეთ პარტნიორობის ეროვნული ფორუმი მიესალმება საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ევროინტეგრაციის გზაზე: წარმატებით მიმდინარე მოლაპარაკებები ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე, ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მიღება და პარლამენტში

ერთხმად მიღებული რეზოლუცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ.

მიღწეული პროგრესის მიუხედავად, პრობლემატურია კოაბიტაციის პროცესის თანმდევი სირთულეების შესახებ როგორც მცდარი ინფორმაციის გავრცელება, ასევე, მისი არასწორი ფორმით საზღვრებს გარეთ გატანა, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ევროკავშირთან დაახლოების პერსპექტივებზე, მათ შორის ასოცირების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების პროცესზე.

ერთი მხრივ, ამის ნათელი მაგალითია, ნაციონალური მოძრაობის მიერ ევროინტეგრაციის საკითხებით მანიპულირების ინიცირება ვიწრო პარტიული მიზნების მისაღწევად. ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მმართველი პოლიტიკური ძალის ღია დებატი ევროპის სახალხო პარტიასთან და მისი თანმდევი შეფასებები, რაც თანდათანობით ცდება კონსტრუქციულობის ჩარჩოებს. დაპირისპირების ზრდა შესაძლოა ზიანის მომტანი აღმოჩნდეს ქვეყნის იმიჯისა და ინტერესებისთვის.

ევროინტეგრაციის საკითხებით მანიპულირების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად შესაძლებელია განვიხილოთ არჩევნების შემდეგ კოაბიტაციის რეჟიმის სირთულეები და საქართველოს საგარეო მისიების შეზღუდული ფუნქციონირება; არასწორი და არასრული ინფორმაციის მიწოდება მთელი რიგი ევროპული სტრუქტურებისთვის, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ქვეყანაში შექმნილია მწვავე პოლიტიკური კრიზისი; შედეგად, პერიოდულად ისმის უსამართლო კრიტიკაც ახალი ხელისუფლების მიმართ.

ამის მაგალითია ის ფაქტიც, რომ საქართველოს მედია სექტორში არსებული მრავალი პრობლემის ფონზე, ევროსაბჭოს რეზოლუციაში 1920/2013 აისახა არასწორი ინტერპრეტაციები საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმირებასთან მიმართებაში. სამწუხაროა, რომ ევროსაბჭოს მხრიდან არ მოხდა ფაქტების გადამოწმება სამოქალაქო საზოგადოებასთან. შედეგად, მსგავსი არაობიექტური კრიტიკა ამცირებს მოქალაქეების ნდობას ევროპული ინსტიტუტების მიმართ, გადააქვს საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება არსებული პრობლემებიდან და ზღუდავს მათი ეფექტიანად აღმოფხვრის შესაძლებლობებს.

მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია საქართველოს ხელისუფლების ყველა შტომ უზრუნველყოს ევროსტრუქტურებსა და ევროპულ პოლიტიკურ პარტიებთან პირდაპირი და ინტენსიური კომუნიკაცია, ზუსტი და დეტალური ინფორმაციის მიწოდებით, რათა ხელი არ შეეშალოს ვილნიუსის სამიტზე საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების პროცესს. ამასთანავე, გამოვთქვამთ მზადყოფნას პროცესში ჩართული ყველა მხარისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ფართო საზოგადოებრივი დებატები ევროინტეგრაციის საკითხებზე, რაც ხელს შეუწყობს ვილნიუსის სამიტთან მიმართებაში ადეკვატური მოლოდინების ჩამოყალიბებისა და ევროინტეგრაციის საკითხებით მანიპულირების შეწყვეტას შიდაპოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

ევროკომისარ შტეფან ფულეს განცხადებით, საქართველომ ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა საკუთარი სწრაფვა ევროპული პერსპექტივისკენ, თუმცა აუცილებელია, საქართველოს ხელისუფლებამ ერთობლივად დაამტკიცოს, რომ კობიტაცია არ იქნება ევროკავშირთან დაახლოების პროცესში შემაფერხებელი ფაქტორი. „ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ეს დიდი გამოწვევაა ქვეყნისთვის, რომელმაც ისტორიაში პირველად შეძლო ხელისუფლების თავისუფალი და მშვიდობიანი არჩევნების შედეგად შეცვლა. მაგრამ მნიშვნელოვანია, და ეს ორივე მხარეს მოეთხოვება, ქვეყნის ინტერესები პირად ან პარტიულ ინტერესებზე მაღლა დააყენონ.“

ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის მკაფიოდ გამოხატული ნებაა და დემოკრატიულ კურსს ქვეყნის უსაფრთხო და მდგრადი განვითარებისთვის ალტერნატივა არ გააჩნია. აუცილებელია, პოლიტიკოსებმა გადადგან ყველა შესაძლო ნაბიჯი, ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური სწრაფვის რეალიზებისთვის.

საათნახევრიანი განხილვის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია